ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №ნას/ 14 /04/14

თბილისი „ 16 “ აპრილი, 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს “საქაერონავიგაცია” (შემდგომში, შემსყიდველი) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დიკა” (შემდგომში, მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის, ელგუჯა სუპატაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია ერთჯერადი რეზინის ხელთათმანების შესყიდვა (შემდგომში, საქონელი).

1.2. საქონლის დასახელება, აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულისა და მთლიანი ფასი მოცემულია დანართში №1, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

1.3. ხელშეკრულება იდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.4. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია (CPV) 18424300.

1.5. საქონლის მიწოდების ადგილია შპს “საქაერონავიგაცია”, აეროპორტი 0198.

1.6. შპს „საქაერონავიგაციის” რესურსის მოთხოვნის განაცხადი №132/4.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომლის მიზანია საქონლის მიწოდების ვად(ებ)ის, რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით ახორციელებენ ლოგისტიკის სამსახურის უფროსი, დიზი ტაბატაძე და შესყიდვების ექსპედიტორი ჯაბა ვაჭარაძე, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს (“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “გ” და “ე” ქვეპუნქტები).

მუხლი 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.2. შემსყიდველის სახელით მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭებათ ხელშეკრულების 2.2. პუნქტში მითითებულ პირებს.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **799.20** ლარი.

4.2. ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს დღგ-ს ჩათვლით.

4.3. გადახდის ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

5.1.2. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. არ გააფორმოს მიღების-ჩაბარების აქტი, თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც

გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ:

8.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია საქონლის მიწოდება.

8.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.1.3. თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3. ამ მუხლის 8.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის საფუძველზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 მაისამდე.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შპს „საქაერონავიგაცია“
მის: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198, ტელ. 274-42-27
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051
ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ REPLGE22;
ა.ა GE 69 BR 000000000 54 67 067

გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

შპს „დიკა“
მის: ქ.თბილისი, ქვემო ალექსეევკის დასახლება, 0158.
საიდენტიფიკაციო კოდი: 208142810.
ტელეფონი: 214 59 33; 577 15 83 83
სს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22;
ა.ა GE 19 BG 0000000 125960400

დირექტორი
ელგუჯა სუპატაშვილი

დანართი №1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ნას/ 14 /04/14

დასახელება	აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
რეზინის ხელთათმანები	ერთჯერადი მოხმარების ჰიგიენური ხელთათმანები სანიტარული კვანძებისათვის,100% ლატექსი, ზომა M	200	1.48	296
	ერთჯერადი მოხმარების ჰიგიენური ხელთათმანები სანიტარული კვანძებისათვის, 100% ლატექსი, ზომა L	340	1.48	503

შპს „საქაერონავიგაცია"
გენერალური დირექტორი
გოჩა მეზვრიშვილი

შპს „დიკა"
დირექტორი
ელგუჯა სუპატაშვილი